# ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნები დასაქმებულთა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით

ყველა დაშვებული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისთვის, რომელზეც ვრცელდება **„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნა,** დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს დასაქმებულთა უსაფრთხო ტრანსპორტირება შემდეგი წესების დაცვით:

- მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენებისას, მძღოლის ჩათვლით ნებადართულია 3 პირის გადაადგილება. ასეთ შემთხვევაში მგზავრების განთავსება უნდა მოხდეს მძღოლის უკანა სავარძელზე, შესაბამისი დისტანციის დაცვის შესაძლებლობის გათვალისწინებით;
- M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით დასაქმებულთა გადაადგილების შემთხვევაში, სავარძლებზე მგზავრების განთავსება უნდა განხორციელდეს ჭადრაკისებურად;
- ტრანსპორტირების დაწყებისა და დასრულებისთანავე, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შიდა და გარე სახელურების დეზინფექცია;
- ტრანსპორტით გადაადგილებისას, დასაქმებულები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ხელთათმანი, პირბადე, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი თვალის/სახის დამცავი ფარი);
- M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის გამწმენდი სითხე;
- დამსაქმებელმა ან მისმა წარმომადგენელმა, უნდა უზრუნველყოს ტრანსპორტირებამდე დასაქმებულთათვის ინფორმაციის მიწოდება, დადგენილი სტანდარტების შესახებ და გააცნოს ჰიგიენური საშუალებების სწორად მოხმარების წესები;
- ავტომობილით გადაადგილებისას, უნდა ხდებოდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების სალონის ბუნებრივი ვენტილაცია;
- გარკვეული პერიოდულობით მოახდინოს ხშირად გამოყენებული სამუშაო აღჭურვილობისა და სამუშაო ადგილების დეზინფექცია, სატრანსპორტო საშუალებების შიგნით არსებული ინვენტარის სანიტარული დამუშავება ყოველი შესრულებული სამარშუტო ხაზის შემდგომ, მაგრამ არაუმეტეს მგზავრების გადაყვანამდე 10 საათით ადრე;
- გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური საშუალებების მოსაცილებლად, M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებში უნდა არსებობდეს დახურული კონტეინერი;
- M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისას, შესაძლებლობის გათვალისწინებით, უნდა მოეწყოს დროებითი დამცავი გამჭვირვალე ბარიერი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის კაბინასთან;
- აღირიცხოს ყოველ ჯერზე ერთ ჯგუფად გადაყვანილი მგზავრები სახელების, გვარების და თარიღის მითითებით.

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 15 05 116 001**